

5/22/10908

# ხალხმობრივი პერიკლი

3

საქართველო  
საზოგადოებრივი  
1991

№ 102

(11735)



ქართული  
პერიკლი

საქართველო  
საზოგადოებრივი  
1991

ქართული  
1921 წელს

საზოგადოებრივი-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კპ.

## ქართული ენა და მოქალაქეობის საკითხი

კანონის პროექტი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ, რომელიც საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნდა, რიგი საკითხების არსებობას სიღრმით დამუშავების მიუხედავად, შედეგად იქნება დემოკრატიული და პუბლიკური პრინციპების მოთხოვნების დაკმაყოფილება ვითარდება. მიუხედავად ასეთი შეფასებისა, კანონის პროექტის ნაკლებ მიმართული პირობების და ქართული სახელმწიფოს ინტერესების გაუწონასწორობლობა ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხში. ინტერესების ბალანსის ერთ-ერთ ასეთ დარღვევად მიმაჩნია ენის საკითხი.

ქართული ენა, როგორც საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა, კანონის პროექტით ძალიან სუსტად და დაცული. კანონი არ ითვალისწინებს არავითარ მასტიმულირებელ დებულებას იმისათვის, რომ ქართული ენის არმცოდნე პირები, რომლებიც საქართველოს მოქალაქეობას უთვლიდნენ, მომავალში მიიღებინათ დაეუფლონ სახელმწიფო ენას. საუბრით განსაზღვრა და შეასწავნა რეგულირება კანონის პოზიცია იმის მიზანშეუწონლობის შესახებ, რომ ენის არმცოდნე მოსახლეობის ხანდაზმულ ნაწილს ენის შესწავლა მოეთხოვოს ან მოკლე, ან აუხუნად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. მაგრამ ახალგაზრდა თაობის მიმართ ასეთი პოზიციის დაკავება არაფრით არ არის გამართლებული. საქართველოში მცხოვრებმა ენის არმცოდნე ახალგაზრდობამ და პოტენციურად ასეთმა მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ სახელმწიფო ენა, მათ უნდა მიეცეთ ამ ენის შესწავლის სტიმული. ამ გარემოების გათვალისწინებით მისაჩვენებელია კანონის პროექტი ითვალის-

წინებდეს მომავალში სახელმწიფო ენის არმცოდნე მოქალაქის სტატუსის შემოღებას ძირითადი სტატუსის დამატებით. სახელმწიფო ენის შესწავლის მოთხოვნები წაიყენოს ენის არმცოდნე მოსახლეობის ახალგაზრდა ნაწილს (მაგალითად, 30 წელზე ნაკლებ ასაკის პირებს) გარკვეული პერიოდის (მაგალითად, 10 წლიანი პერიოდის) განმავლობაში. თუ ამ პერიოდის გავლის შემდეგ საქართველოს ახალგაზრდა მცხოვრები (როგორც ითქვამს, ამჟამად 30 წლისაზე ნაკლებ ასაკის) მან არ იქნება საქართველოს სახელმწიფო ენის არმცოდნე საქართველოს მოქალაქის სტატუსი. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე კანონის (პროექტი) 1 კარის ზოგადი დებულებების პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„საქართველოს რესპუბლიკაში, როგორც სუვერენულ სახელმწიფოში, დადგენილია საქართველოს რესპუბლიკის ერთიანი მოქალაქეობის ორი ტიპი (სახელმწიფო), რომელსაც აწესრიგებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა“.

1 კარის მუხლი 2-ს ა) ბუნების დასაწყისი შეიცვალოს შემდეგნაირად:

„ა) პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საქართველოს რესპუბლიკაში ამ კანონის სამოქმედო შემოღების დღისათვის, საქართველოში ფლობს ქართულ ენას, ან ამ ენის არმცოდნეა, მაგრამ გადაცილებულია 30 წლის ასაკს, აქვს მუდმივი სამუშაო“... და „ზ. როგორც ტექსტში.

დაემატოს მუხლი (რიგითი ნომერი იქნება 3) მეორე და მესამე

მუხლებს შორის შემდეგი ტექსტით. „მუხლი 3. სახელმწიფო ენის არმცოდნე საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე. დღიდან ამ კანონის ძალაში შესვლისა ცხადდება სახელმწიფო ენის დაუფლების 10 წელი. ამჟამად სახელმწიფო ენის არმცოდნე, სრულწლოვანი, 30 წელზე ახალგაზრდა ასაკის პირს, რომელიც 10 წლის შემდეგაც არ იქნება დაუფლებული საქართველოს სახელმწიფო ენას, მიეცემა სახელმწიფო ენის არმცოდნე საქართველოს მოქალაქის სტატუსი. წინამდებარე ათწლიანი პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო ენის არმცოდნე პირს ეძლევა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის პირობითი სტატუსი.“

10 წლის შემდეგ ყოველ ახალგაზრდას სრულწლოვანობის მიღწევისას მიეცემა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის სტატუსი, თუ ის საქართველოში ფლობს სახელმწიფო ენას, ან სახელმწიფო ენის არმცოდნე საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის სტატუსი, თუ ის საქართველოში არ ფლობს სახელმწიფო ენას. მოქალაქეობის სტატუსის შეცვლა შეიძლება დადგენილი წესით სახელმწიფო ენის დაუფლების დდასტურებით.

სახელმწიფო ენის არმცოდნე მოქალაქის უფლებები იზღუდება სახელმწიფო თანამდებობაზე მათი გამოყენების თვალსაზრისით. სახელმწიფო ენის შესწავლის საქართველოში განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დატკიცებული დებულებით.

**გივი ბაჩიალიაძე**  
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

## შეოდგომა შეიძლება...



გურამ თიანათის ფოტო

## ღვთისმშობლის ტაძარი ტაქარი ბარდაბანში

ქალაქ გარდაბნის ცენტრში, ყველაზე უმცირეს და თვალსაჩინო შენობაში წამოიშობა ღვთისმშობლის ტაძარი. მისი გუმბათი ზეცას წვდება.

მშენებლის კურთხევიდან რამდენიმე თვის შემდეგ აშენდა ტაძარი. ამ საზეიმო ცერემონიაზე გარდაბანში ჩამოვიდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე. მან აკურთხა ტაძარი, აღასრულა ღვთისმშობლის ტაძარი, და აი, მისი გამოიკვია, რომ ბევრი ქრისტიანი მორწმუნე პირველად თურმე შეეცდომით იწერდა. ეს გასაკვირი არც არის. გარდაბანში საუკუნეების წინათ კი იდგა ეკლესია, მაგრამ უყურადღებობის გამო იგი აღიგავა პირისაგან მიწისა. მხოლოდ ამერიკიდან ექნებოდა გარდაბანში ღვთისმშობლის რწმენისა და სული აღზევებისა და განწმენის სახლი.

მისი აშენების სურვილი და ინტერესი კი გარდაბანში 80-იანი წლების დამდეგიდან ჩაისახა. ამ საშვილიშვილო საქმეს სათავეში ჩაუდგა ადგილობრივი მკვიდრი, ენერგიული სამეურნეო მუშაკი მაყვალა კიკაბიძე. საღ არ იარა მან ეკლესიის მშენებლობის ნება-რთვისათვის, მაგრამ ყველაფერ უარით გამოისტუმრეს, კომუნისტური ფუნქციონერები წინ გადაეღობნენ კარგ თანხობას. მისი აღსრულება მხოლოდ ეროვნული ძალების შემწეობითა და დახმარებით გახდა შესაძლებელი. მაყვალას ახლა მხარში უდგას მისი ქალიშვილი მარინე უგულავა, რომელიც შარშან დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი და გარდაბნის მეზობელ ქართულ საშუალო სკოლაში ასწავლის ღვთისმეტყველებას. ეს საგანიც სკოლაში დღე-შეიღის ინიციატივით ისწავლება. ბავშვები გულისყურით ეცნობიან ძველსა და ახალ აღთქმას, რელიგიურ დღესასწაულებსა და მათ არსს.

რიტუალებს, რომლებიც შეიღობათეულ წლის მანძილზე იღვენებოდა ქართული სკოლიდან. დღე-შეიღობა მომავალი ეკლესიისათვის საკუთარი დანაზოგებით შეიღობეს წმინდანთა ძვირფასი ხატები.

ღვთისმშობლის ტაძარი რთული არქიტექტურული ნაგებობაა. მისი მშენებელია ქართული ეკლესიის მშენებლობის ყველაზე საუკეთესო ტრადიციები. მაყვალა კიკაბიძემ გვიტობრა, რომ ამ მხრივ იგი განსაკუთრებით ემადლიერება რუსთავისა და გარდაბნის პრეფექტებს თეიმურაზ ჯანელიძეს და რევაზ ონიანს, რომელთა ინიციატივით სოლოდური თანხა ჩაირიცხა მშენებლობის ფონდში. ამ დღეებში მშენებლობის ფონდში 100 ათასი მანეთი ჩაირიცხა აგრეთვე ცეკავაშის გამგეობის თანამშრომლის რეზან კონცეიძის თანხობით. შემოწირულობებს მოქალაქეებისაგანაც იღებენ. ეკლესიის მშენებლობისათვის თანხები გამოჰყო საქართველოს საპატრიარქოში, მაგრამ ეს თანხები მკინც არ არის საკმარისი. ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს შევასტენებთ, რომ ვისაც აქვთ კეთილი სურვილი, გადმოიციონ თანხები ეკლესიის მშენებლობის სახელზე, რომლის ანგარიშია 000700312, გარდაბნის აგროსამრეწველო ბანკი.

არ შეიძლება, მშენებლობა დაათვალიერო და მისი არ მოიკითხო. კითხვები და დასაბუთებულ აგებენ. ესენი არიან აგრომშენის № 1 ტრესტი (მმართველი თეიმურაზ ჩარკვიანი), № 37 მოძრა-მექანიზებული კოლონა (უფროსი იური ჭოლოკაძე, სამუშაოთა მმართველი გიორგი კობერიძე) და სხვები. ისინი მშენებლობას დაქმულ ვადანზე აღრე დაასრულებდნენ, საშენ მასალათა დეფიციტი რომ არ ყოფილიყო ზელმეშველი.

**ღვთისმშობლის ტაძარი**  
საქინფორმის კორესპონდენტი

## პერტმფრანს სავსელი დაუშინას

29 აგვისტოს საქართველოს სა-მოქალაქო ავიაციის სამმართველოს კუთვნილ ვერტმფრანს უცნობმა პირებმა დაუშინეს ცეცხლი ტერიტორიიდან, რომლებსაც ოსი ექსტრემისტები აკონტროლებენ. მანქანა დაზიანდა, და მისი ეკიპაჟმა განახორციელა იძულებითი დაჯდომა. ეს მოხდა ზეობაში, ერთ-ერთ პლატოზე, რომელიც ქსნის მახლობლად.

ამ შემთხვევის შესახებ გვესაუბრებიან:

საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის პროკურორი თეიმურაზ ონიანი:

— როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, რამდენიმე დღის წინათ, ახალგაზრდის რაიონის საძოვრებიდან უცნობმა პირებმა გაიტაცეს რამდენიმე ათასი სული ცხვარი. მათ მოსაძებნად ახალგაზრდის რაიონის პრეფექტმა სთხოვა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოეგზავნა ვერტმფრანი. ვერტმფრანის ჩამოსვ-

ლისას ახალგაზრდა შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა რაიონის პრეფექტი. მათ ვერტმფრანით შემოეფრინეს გაიტაცებული ცხვრების შესაძლო ადგილსამყოფელს ახალგაზრდის რაიონის ტერიტორიაზე. როცა ერთ-ერთ ფარას უახლოვდებოდნენ, ვერტმფრანს ცეცხლი დაუშინეს. ეკიპაჟს მოუწია განხორციელებინა იძულებითი დაჯდომა. ვერტმფრანს ტექნიკური დაზიანება სჭირდებოდა. ამ მიზეზით იქ გაგზავნეს ვერტმფრანის სპეციალისტები. იქვე დაჯდა მანქანა, რომელშიც იყვნენ სამართალდამცველი ორგანოების მუშაკები. გარკვეული დროის შემდეგ დაზიანება აღმოფხვრეს და ვერტმფრანი გადმოდინდა შემთხვევის ადგილიდან. ამჟამად ჩვენი პროკურორთა იძიების ამ საქმეს. გამოძიების საბოლოო შედეგებს გამოვაქვეყნებთ რესპუბლიკურ პრესაში.

ეკიპაჟის მეთაური ანატოლი ხლოპოვი:

— სამმართველოს ვერტმფრან-

ებს იჯარით იღებს რესპუბლიკის მრავალი ორგანიზაცია, მათ შორის საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო. 29 აგვისტოს მივიღეთ შეკვეთა რესპუბლიკის სახელმწიფო ავტონისპექციისაგან გავფრინოდათ ახალგაზრდაში ამ რაიონის პრეფექტის განკარგულებაში. სავარაუდოდ უკვე ვიცოდით გაფრინების მიზეზი — პირუტყვის გატაცება. თბილისიდან უმჯობესდებოდა გაფრინდით. ახალგაზრდაში დაჯდომისას, წავიყვანეთ პრეფექტი, მილიციის წარმომადგენლები და იმ მეურნეობათა ზელმდგენელები, რომლებსაც ეკუთვნოდათ ცხვარი. მათი თხოვნით, დაიწყეთ დაჯდომა ერთ-ერთი ფარის მახლობლად, რომლის მწყემსები მათ თვისიონებად მიიხიენ. უკვე შევიშინე კვამლი სხვადასხვა წერტილიდან გასროლის შედეგად. როგორც ჩანს, დაზიან ტყვიამფრქვევს ისროდნენ. დაიწყეთ მანქანის შემოტრუნება და ამ ბორტმექანიკოსმა მომახსენა, რომ წიგვა ეცემა და ზეთის ტუმბურატურა იზრდება. ვერტმფრანს ზეთსადენი ჰქონდა დაზიანებული. მოგვიწია იძულებითი დაჯდომა...

**თენგიზ ჩიჩუაძე**  
საქინფორმის კორესპონდენტი



# ნიგნი ანუ ნაჩილი „ქართული“ ფანსურთის რედაქტორს

ვიხილვ რა თქვენი ეპისტოლე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ბატონ ზვიად გამსახურდიას (ქართული ფეხბურთი, № 80 (86), 26 თებლისი, 1991 წ.) უშუალო ჩავეხედე ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ („მეცნიერება“, თბილისი, 1978, გვ. 148), სადაც წავიკითხე: ეპისტოლე, ეპისტოლე წიგნი, წერილი: „ესა რაა ბერსა მას ეპისტოლე იგი მამისა პიმენისი“ მ. ც. ბ. 223; „მიიღო ოდესმე მამამან ანტონი ეპისტოლე, მიწერილი შეგისა კონსტანტინისი“ მ. ც. ბ. 282; „ფრიად განვაძრავლე ეპისტოლეც ესე“ მ. სწ. 118. 19.

ამის მნახველმა, კვლავაც ვირწმუნე: რაოდენ საღმრთოდ საამოა მსმენელისთვის, ოდეს სწორი სწორს აახლებს ეპისტოლეს.

თქვენ რომ სწორფერულად ჰქაღრთ ეპისტოლე ბატონ ზვიად გამსახურდიას, მეც ვავეხედე და, ჩემის კრძალვით, მოგართვით წიგნი ანუ წერილი ესე. თან უნებურად გამახსენდა უცნობი ავტორის „ეპისტოლე დიოგენესადმი“ (იხ. „სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა“, წიგნი 1. თბილისი, „მერანი“, 1990, გვ. 12), რომელშიც არის, ჩემი აზრით, თქვენთვის ფრიად საგულეხმარო შეგონება: „დროა განიწმინდო თავი ეველა იმ აზრისაგან, წინდაწინ რომ დაუპყრო შენი გონება; უკუაღდე მცდარი ჩვეულება და იქმენ ახალი კაცო, როგორც ეს თუო დასაბამიდან, რომ ამ გზით ვახლე (როგორც თვითვე აღიარებ) მსმენელი ახალი სიტყვისა, ჭერ კი იხილე (არა მხოლოდ თვლით, არამედ გონებითაც) თუ რა არის არხება და გვარი მათი, რომლებსაც თქვენ ღმერთებად თვლით და სახელდებთ ასე. განა ჭვა არ არის ზოგი მათგანი, მსგავსი იმ ქვისა, ფეხს რომ ვაბიჭებთ, სხვა კი განა სბილენი არ არის არაფრით უმჯობესი იმ სბილენისა, რისგანაც ჩვენთვის გამოსადეგ ჭურჭლებს ვაწვადებთ? ასევე, ზოგი მათგანი ხეა, თანაც უკვე დამაალი, ზოგი ვერცხლია, რასაც სჭირდება ვინმე მცველი, რომ არავინ მოიპაროს. ზოგი რკინაა უანგისაგან შექმული, ზოგიც თიხაა, არაფრით უკეთესი იმ თიხისა, რისგანაც უმეტესად შეურაცხი საქორების ჭურჭელს აწვადებენ“.

ფიქრობ, რომ შეგონება „იქმენ ახალი კაცო“, თქვენ ვერ შეგძრავთ, რაკი თქვენში (და არა მხოლოდ თქვენში!) უკვე კარგა ხანია მკვიდრად სუფევს ერთადერთი ღმერთი — ნ. აბლაკაცი. იხილ ვიცი, რომ გაქვთ ლამის ფანატური რწმენაც, თითქოს ეს არის კაცი უოვლად უბიწო და უბინჯო, მიუწვდომელი და ხელ-

უხლებელი, უცოდველი და შეუცდომელი, და ამიტომაც — განუკითხავი და განუხჯელი. ასეთი რწმენის გამო კი, ბუნებრივია, „თვალს ღიბრადაკრულდება“ დაკარგეთ „რეალობის აღქმის უნარი“ (წინწკლებში ჩასხული სიტყვები თქვენიველია: იხ. „ქართული ფეხბურთი“, 82 (88), 9 აგვისტო, 1991 წ.) და თვალდაბრუნებულმა დაიჭერეთ, თითქოს ყოველი საქმე მისი ხანაქებაა და შეუვალე (გავიწყდებათ კი, რომ დედამიწაზე უბინჯო კაცი, საერთოდ, არ არსებობს). ხოლო, თუკი რამ ზარევი ჩნდება ქართულ ფეხბურთში, ეს მუდამ სხვისი ბრალია — შინაურისაც და გარეულისაც — ოღონდ არა მისი და მისი მრევლისა. ასე იყო ყოველთვის, მისი აღწევების დროს (მაგალითად, 1988 წელს, როცა თბილისის „დინამო“ ლამის გავარდა უმაღლესი ლიგიდან, ეს ყველას დაბრალდა, გარდა ნ. აბლაკაცისა); ასევე გინდათ, წარმოხსნათ აბლაკაცი: ეროვნულ ჩემპიონატში არის დარღვევები, დანაშაულობანი და უმსგავსობანი, ოღონდ ეს არსებითად არ ეხება ფედერაციის ხელმძღვანელობას. აკი ბრძანებთ კიდევაც თქვენს ეპისტოლეში სასხვათაშორისოდ: „რა თქმა უნდა, ფედერაციამაც უნდა გამოიღოს ხელი“.

მე კი მწამს, რომ ხელაც არ არის საქმარის მხოლოდ „გამოიღოს ხელი“ ფედერაციამაც, არამედ აუცილებელია ჭერ თვითონვე წამინოს თავში ხელები ხელმძღვანელობამ და საქვეყნოდ აღიაროს ვაკაცურად ის უცილობელი ფაქტი, რომ ბევრი დარღვევის და თავმჯდომელობის საბაზის და ბიძგის მიმცემი თავად არის სწორად თვითნებური, არაკომპეტენტური და არასამართლებრივი ქმედების გამო...

თქვენი ეპისტოლეს მიხედვით კი უნდა ვიფიქრო, რომ ფედერაციის ხელმძღვანელობა ამას არ იწამს. მით უმეტეს, თუკი დამნაშავე „ხტრელეჩნიკი“ უკვე გამოუქმნია: „მე ვიცნობ, როგორც პრეზიდენტის, ასევე ვიცე-პრეზიდენტის და ფედერაციაში მომუშავე ბევრი პატიოსანი ადამიანის პოზიციას, უახლოეს ხანში მოლაღატენი მხილებული იქნებიან“, გვაუწყებთ თქვენ.

იხე, ამბობენ, ერთი „მოლაღატე“ უკვე ამხილეს... როგორ გვგონიათ, დიდი ცოდვა იქნება, თუკი ვინმე უბრალო გულმშობილევარი გაიფიქრებს, რომ ამ უწით ფედერაციის ხელმძღვანელობა ცდილობს, როგორც უცნობი იტუვიან ხოლმე, „საკუთარი მუნდირის“ გადარჩენას?

ბატონო ნოდარი თქვენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს შემწეობა სთხოვეთ უკუღმართ შედეგებთან საბრძოლველად, ოღონდ აღარ გაგახსენდეთ, რომ ამ შედეგების გამოწვევს საბაზთა და მიწვეთა დიდი წილი ფედერაციის ხელმძღვანელობის კისერზეა ჩამოკიდებული. ამიტომაც უპირანი იქნება, თუკი ეპისტოლეს აახლებთ აგრეთვე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტსაც. ეგებ, მანაც „გამოიღოს ხელი“, ზოგი რამ თავდაცვით ვიროს და ამით შეეშველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს საფეხბურთო საქმეების მოვარებაში.

პატივისცემით, მორის მუსხრამიძე.  
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საქსპერტო კომიტეტის ყოფილი წევრი.

## ჩვენი პოზიცია

ამ დღეებში გაიმართა სრული აღ საქართველოს ადამიანთა უფლებათა დაცვის ასოციაციის მთავარი კომიტეტის გაფართოებული სხდომა. სხდომაზე საზგასმით იქნა აღიზნული, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ქმედება პუტჩის დღეებში ერთადერთი და სწორი იყო. შეკრებულმა იმსჯელეს კომპარტიის პოზიციის შესახებ და მოითხოვეს; გაიხსნას კომპარტიის და უშიშროების არქივები. საზოგადოებისათვის მისაწვდომი გახდეს ყველა მასალა და დოკუმენტი.

სხდომამ გადაწყვიტა ორგანიზაციული საკითხები. მთავარი კომიტეტის წევრობის უფლებამოსილება შეუწყდა ცეზარ ბაქრაძეს. წესდებისა და პროგრამის უხეში დარღვევისათვის პრესამსახურის ხელმძღვანელობიდან განთავისუფლდა კახაბერ პიტნავა, რომელიც გამოყვანილი იქნა ასოციაციის წევრობიდანაც.

მთავარმა კომიტეტმა დააკამოფილა ასოციაციის თავმჯდომარის ბატონ ზალო სისარულიძის თხოვნა თანამდებობიდან გადამდგომასთან დაკავშირებით და განთავისუფლდა იგი პირადი განცხადების საფუძველზე. კონფერენციამდე თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად აირჩიეს ბატონი გიორგი კერვალიშვილი.

ასოციაციის ახალმა ხელმძღვანელობამ, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხში თანამშრომლობის წერილს გაუგზავნა რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას და პრემიერ მინისტრს ბატონ ბესარიონ გუგუშვილს.

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია.

# გლობალიზაცია

ვერად ხომარება არაა საქველმოქმედო ასოციაცია „აღიარება“ და აქვე ასოციაციის ფილიალი „არგო“.

## საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი

### გთავაზობთ

- წიგნებისა და ჟურნალების —
- გაზეთებისა და ბროშურების —
- რეკლამებისა და ბლანკების —
- აფიშებისა და ეტიკეტების —
- საფიზიტო ბარათების —

აწყობა-დაკაბადონებას კომპიუტერული ტექნიკით.

თქვენ შემოგთავაზებენ ქართული, რუსული და ლათინური შრიფტების ფართო არჩევანს. მალე კვალში ფიციური სპეციალისტები მაქსიმალურად გაითვალისწინებენ თქვენს სურვილებს და დათქმულ ვადაში შეასრულებენ დაკვეთას.

ჩვენი სახით თქვენ შეიძენთ საიმედო პარტნიორს!

ჩვენი მისამართი: თბილისი, წერეთლის 130, ტელ: 85-26-44; 34-05-14.

## საბროკერო ფირმა «იპორტა»

გთავაზობთ მომსახურებას ყიდვა-გაყიდვის საქმიანი გარიგებების დადებაში

### თბილისის უნივერსალური ბირჟაზე

თუ კი თქვენი წარმოება-ორგანიზაცია ეძებს გასაღების ბაზრებს, ნელეულის შეძენის შესაძლებლობებს, სურს გაყიდოს, ან იყიდოს პროდუქცია დიდი პარტიებით და თანაც ხელსაყრელ ფასებში, იმოქმედეთ ჩვენი ფირმის მეშვეობით.

საშენი მასალები, საწვავი, ლითონი და ლითონის ნაწარმი, ხე-ტყე, ქალაღი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ელექტრო-საქონელი, ტექნოლოგიური ხაზები, სხვადასხვა დანადგარები, მინი ქარხნები, ტრანსპორტი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი და ა.შ. — ჩვენ დაგეხმარებით ყოველივეს ყიდვა-გაყიდვაში. ტელეფონი ცნობებისათვის: 88-01-25.

### ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა საყურადღებოდ!

ა. ნ. 11 სექტემბერს 15 საათზე პ. სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიის ინსტიტუტის საექტო დარბაზში (მისამართი: თბილისი, გუდამაყრის 2, ტელ.: 613937) შედგება საქართველოს ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაციის დამფუძნებელი ყრილობა.

საინიციალ: ე.ო. ჯგუფი

### ი ყ ი დ ე ბ ა

გერმანული ანტიკვარული როიალი „შროლერი“.

ტელეფონი: 87-10-92, იკითხეთ გაა.

კომპიუტერებისათვის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებელი ფირმა „ინკო“ ორგანიზაცია და დაწესებულებებს სთავაზობს პროგრამულ უზრუნველყოფას ქართულ ენაზე და აცხადებს მიღებას პირველადი კომპიუტერული განათლების კურსებზე. სწავლების ხანგრძლივობა 1 თვეა. ღირებულება ორგანიზაციებისათვის 800 მანეთი, კერძო პირთათვის 500 მან. ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ ტელ: 72-50-49, 22-46-67.

**საზოგადოებრივი პოლიტიკური**  
Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 88-97-81;  
პასუხისმგებელი მდივანი — 88-81-56;  
წერილების განყოფილება — 88-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორის მოადგილე გიგლა ვოვაჩიძე

საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამოცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, შ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წიხით საგაზეთო კორპუსში სოფარული 29. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15. НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართი შ. თბილისი — 380096 შ. კოსტავას ქ. № 14.